ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37213621**
თარიღი:**28/12/2021**

ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ნათია გოლიაძეს).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ. N14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი